# აღზრდის სტილის, თვითრეგულაციისა და შფოთვის დონის კავშირი

**ავტორი: მირანდა ჯინჭარაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

# განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

მირანდა ჯინჭარაძე

20.06.2024

# აბსტრაქტი

პიროვნების ჩამოყალიბების, მისი განვითარების მთელი ციკლის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს, იმას თუ როგორ ურთიერთობენ მშობლები ბავშვებთან. ეს ურთიერთობები უდიდეს როლს ასრულებენ ბავშვის, როგორც კოგნიტურ, აგრეთვე, ემოციური სფეროს განვითარებაზე. ის, თუ როგორი თვითრეგულაციის უნარი მაქვს, ან რომელი აღზრდის სტილი გამოიყენეს მშობლებმა აღზრდის პროცესში, შესაძლოა უკავშირდებოდეს თუ რამდენად გამოვავლენ შფოთვას.

მოცემული კვლევის მიზანია დაადგინოს, როგორ წინასწარმეტყველებენ აღზრდის სტილები (ავტორიტარული, ავტორიტეტული, ლიბერალური) და თვითრეგულაცია შფოთვის დონეს. კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა და მასში მონაწილეობა მიიღო 110-მა მონაწილემ. ცვლადებს შორის კავშირების დასადგენადგანხორციელდა კორელაციური და რეგრესიული ანალიზი, რომლის კორელაციური ანალიზის შედეგადაც დადგინდა, რომ მხოლოდ ავტორიტარული და დემოკრატიული აღზრდის სტილები წინასწარმეტყველებენ შფოთვას, ხოლო, თვითრეგულაციასა და ჩაურეველ აღზრდის სტილს არ შეუძლია შფოთვის წინასწარმეტყველება. სტატისტიკრად მნიშვნელოვანი მონაცემების მქონე პრედიქტორების შედეგების გავაანალიზეთ რეგრესიით დავადგინეთ, რომ ავტორიტარული აღზრდის სტილი დადებითად წინასწარმეტყველებს შფოთვას.



**საკვანძო სიტყვები:** აღზრდის სტილი, თვითრეგულაცია, შფოთვის დონე,

## Abstract

During the entire cycle of personality formation and development, family is of great importance, specifically the ways  parents interact with children. Parenting plays a major role in children's cognitive and emotional development. What kind of self-regulation skills I have, or what parenting style my parents used in the process of raising me, might predict determine how one will react to a stressful situation, and how much one will or will not experience anxiety. Children self-regulation skills and parenting styles practiced by parents may predict anxiety level in children.

The purpose of this study is to determine how specific parenting styles (authoritarian, authoritative, liberal) and self-regulation predict anxiety levels. where the outcome variable was anxiety level, and the predictor variables were parenting style (liberal, indifferent, authoritative, authoritarian) and self-regulation. The research is quantitative in nature and 110 participants took part in it. Correlation and regression analysis was performed to determine the relationships between the variables, and as a result of the correlation analysis, it was determined that only authoritarian and democratic parenting styles predict anxiety, while self-regulation and non-interventional parenting styles cannot predict anxiety. We analyzed the results of the predictors with statistically significant data by regression and determined that the authoritarian parenting style positively predicts anxiety.



***Key words:*** parenting style, self-regulation, anxiety

# მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, გაწეული შრომის, დახმარების, თანადგომისა და ხელმისაწვდომობისთვის, კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობისა და უკუკავშირის დროული მოწოდებისთვის, პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო სხირტლაძეს, რომელიც მაძლევდა რჩევებსა და რეკომენდაციებს.

ამასთანავე, მინდა მადლობა გადავუხადო იმ რესპონდენტებს, რომლებმაც მოცემულ კვლევაში მიიღეს მონაწილეობა, მათი კეთილი ნებისა და ჩართულობის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.